



ბრძანება

N 147
15/04/2022

შპს „ექსპერტ-აუდიტი“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომ - სამსახური) არსებული ინფორმაციით შპს „ექსპერტ-აუდიტი“ (ს/ნ 406109465; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონი, ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი N13) წარმოადგენს აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში (შემდგომ - რეესტრი) რეგისტრირებულ აუდიტორულ ფირმას სარეგისტრაციო ნომრით SARAS-F-821760.

შპს „ექსპერტ-აუდიტი“-ს მიერ სამსახურისთვის წარმოდგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის (N PFL 1696/21) სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრებოდა 2022 წლის 24 თებერვლამდე. 2022 წლის 28 თებერვალს სამსახურს განცხადების (N36247/16) საფუძველზე წარედგინა განახლებული დაზღვევის პოლისი, რომელიც განსაზღვრულია 28.02.2022 – 27.02.2023 პერიოდზე. სამსახურისთვის არ არის წარდგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი 24.02.2022–28.02.2022 პერიოდზე. 2022 წლის 22 მარტს შპს „ექსპერტ-აუდიტი“-ს ჩაბარდა სამსახურის წერილი (N16/24590; 18/03/2022წ.), რომლის თანახმად, აუდიტორულ ფირმას განესაზღვრა 05 სამუშაო დღის ვადა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის 24.02.2022–28.02.2022 პერიოდზე. აღნიშნულ პერიოდზე ინფორმაცია/დოკუმენტაცია სამსახურისთვის დღემდე არ არის წარდგენილი. 2022 წლის 25 მარტს სამსახურს წარედგინა შპს „ექსპერტ-აუდიტი“-ს წერილი (N53058/16), რომლითაც სამსახურს ეცნობა, რომ ვერ შედგა დროულად დოკუმენტაციის მიწოდება/ჩაბარება და შესაბამისი კომუნიკაცია სადაზღვევო კომპანიასთან, აღნიშნული არ წარმოადგენს სამართებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-17 მუხლის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც თავისი სახელით ახორციელებს აუდიტორულ საქმიანობას, ვალდებულია დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობით. „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა.

კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის წერილობით გაფრთხილებას. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ სამსახურის წერილობითი გაფრთხილების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მიიღოს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება.“

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა. სამსახურისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ექსპერტ-აუდიტი“-ს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის ვადა განისაზღვრებოდა 2022 წლის 24 თებერვლამდე, ხოლო განახლებული პოლისი განსაზღვრულია 28.02.2022 – 27.02.2023 პერიოდზე, სამსახურისთვის არ არის წარდგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი 24.02.2022–28.02.2022 პერიოდზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, დარღვეულია კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის უწყვეტობის მოთხოვნა, რაც იწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის პასუხისმგებლობას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-10 პუნქტის, მე-17 მუხლის, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ექსპერტ-აუდიტი“-ს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება.
2. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

თორნიკე ძაგნიძე



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) - მ.შ
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

